კითხვარი 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის

გთხოვთ უპასუხოთ თემატურად დაჯგუფებულ შეკითხვებს. თითოეული კითხვის პასუხი არ უნდა აღემატებოდეს 250 სიტყვას. შეგიძლიათ არ უპასუხოთ შეკითხვებს, რომლებზეც პარტიას ჯერჯერობით არ აქვს გამოკვეთილი მკაფიო პოზიცია ან, მისივე შეფასებით, ესა თუ ის საკითხი არ საჭიროებს ცალკე პოლიტიკის გატარებას.

COVID 19-ის პანდემიის შედეგებთან გამკლავება: ეკონომიკა და საზოგადოება

COVID 19-ით გამოწვეულმა პანდემიამ სერიოზული დარტყმა მიაყენა საქართველოს ეკონომიკას და მნიშვნელოვნად შეცვალა ჩვენი ცხოვრების ყოველდღიური წესი. შემოთავაზებული შეკითხვებიდან რამდენიმე ეხება თქვენი პარტიის როგორც ეკონომიკურ, ისე ზოგად გეგმებს, მათ შორის პანდემიის ნეგატიური შედეგების აღმოსაფხვრელად შემუშავებულ ღონისძიებებს:

1. როგორია თქვენი პარტიის გეგმა, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ქვეყნის ეკონომიკური ზრდა? რა არის პრიორიტეტული პარტიის ეკონომიკურ სტრატეგიაში და რა კონკრეტულ ინიციატივებს სთავაზობთ ამომრჩეველს?

„თავისუფალი საქართველო“ ეკონომიკური გეგმის ფორმირებისას პრიორიტეტად განიხილავს ადგილობრივი წარმოების წახალისებას, კერძოდ კი, დაწესდება საბაჟო და ანტიდემპინგური შეზღუდვები იმ ძირითადი მოხმარების პროდუქციაზე, რასაც საქართველო თავად აწარმოებს. ასევე სახელმწიფო უშუალოდ (და არა ბანკების მეშვეობით) დააფინანსებს ადგილობრივი წარმოების განვითარებას. გამოცხადდება პირობითი ფინანსური ამნისტია: არაკანონიერი წესით მიღებული შემოსავლების ლეგალიზაცია და პატიება შესაძლებელი გახდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს აქტივები ინვესტირებული იქნება ადგილობრივ წარმოებაში. შემცირდება მცირე მეწარმეებისთვის დაწესებული გადასახადები, ასევე სახელმწიფო შესყიდვებში მცირე მეწარმეებს მიენიჭებათ უპირატესობა.

ასევე „თავისუფალი საქართველო“ გადადგამს ნაბიჯებს სოფლის მეურნეობის გადასარჩენად, კერძოდ კი, სახელმწიფო უზრუნველყოფს მოსავლის ძირითადი სახეობების შესყიდვას მსოფლიო ბაზარზე არსებული ფასების გათვალისწინებით. სხვადასხვა ბიუროკრატიული და გასართობი ღონისძიების სეკვესტრირების ხარჯზე გაიზრდება სოფლის განვითარების შემდეგი მიმართულებების დაფინანსება: გზების კეთილმოწყობა, ბუნებრივი აირით მომარაგება და წყალმომარაგება. იმავდროულად, ბუნებრივი აირით სოფლების სრულ უზრუნველყოფამდე დაწესდება შეშის ჭრის შეღავათიანი რეჟიმი ადგილობრივ თვითმმართველობებთან შეთანხმებით. საქართველოს საზღვრებზე დაწესდება უმკაცრესი სასურსათო კონტროლი, რათა შიდა ბაზარზე არ მოხვდეს მეზობელი ქვეყნებიდან იმპორტირებული იაფფასიანი, მაგრამ ეკოლოგიურად არაჯანსაღი პროდუქტები.

2. რა ზომების გატარებას აპირებთ როგორც შიდა, ისე პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობის გასაზრდელად ქვეყანაში?

„თავისუფალი საქართველოს“ ერთ-ერთი ამოცანაა გაუმჯობესდეს როგორც საგადასახადო კანონმდებლობა, ისე რეალური საინვესტიციო პრაქტიკა კერძო ინვესტიციების, მათ შორის უცხოური ინვესტიციების მოზიდვის მიზნით. ასევე სისხლის სამართლის წესით დაისჯება ყველა, ვინც შეეცდება ინვესტორებისთვის ხელის შეშლას (დაწყებული კეზერაშვილით და დამთავრებული ჯანყარაშვილით).

3. გეგმავთ თუ არა კონკრეტული პოლიტიკის შემუშავებას და მის განხორციელებას სოფლის მეურნეობისა და სასურსათო უსაფრთხოების გასაძლიერებლად? თუ ასეა, გაგვიზიარეთ ამ პოლიტიკის ძირითადი ასპექტები.

მოგეხსენებათ, სასურსათო უსაფრთხოება მოიცავს ოთხ ძირითად მიმართულებას: სურსათზე ხელმისაწვდომობას, სურსათზე ეკონომიკურ და ფიზიკურ ხელმისაწვდომობას, სურსათის მოხმარებას და სურსათის მოხმარების სტაბილურობას. სურსათის უსაფრთხოება რომ გარანტირებული იყოს, საჭიროა ოთხივე საყრდენის არსებობა. სახელმწიფომ განსაკუთრებით უნდა იზრუნოს აღნიშნულ საკითხზე, რადგანაც ხშირად ეს პრობლემა თავს იჩენს ეროვნული უსაფრთხოების დონეზეც კი. ამ მხრივ აუცილებელია მუშაობა საერთაშორისო დონეზე, საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით.

4. ისახავს თუ არა თქვენი პარტია მიზნად იმგვარი პოლიტიკის შემუშავებას, რომელიც ტურიზმის, მასთან დაკავშირებული სექტორებისა თუ დარგების თანადგომასა და გაძლიერებას გულისხმობს? თუ ასეა, რა პოლიტიკას გაატარებთ ტურიზმის სფეროს მხარდასაჭერად, მათ შორის მცირე (საოჯახო) და საშუალო ზომის ტურისტული მეურნეობებისთვის?

პარტიის პოზიცია ამ საკითხზე უცნობია.

5. გეგმავთ თუ არა პანდემიის დროს დაწესებული საშეღავათო სისტემის შეცვლას? თუ ასეა, როგორია თქვენი გეგმა?

უპირველეს ყოვლისა, ჩვენი გეგმა შეეხება ჯარიმების ამნისტიას: აუცილებელია, გადაიხედოს იურიდიული და განსაკუთრებით ფიზიკური პირებისთვის გამოწერილი ჯარიმები. შინაგან საქმეთა სამინისტრომ 21 მარტიდან 25 აპრილის ჩათვლით 17 მილიონი ლარის ჯარიმა გამოწერა, რაც პრაქტიკულად აზრს უკარგავს იმავე პირებისთვის „დახმარების“ გაწევას. ჩამოწერა შესაძლოა არ შეეხოს ყველას, არამედ მხოლოდ იმ პირებს, რომლებმაც კარანტინის წესები დაარღვიეს საყოფაცხოვრებო პირობებში და დარღვევები არ იყო რეგულარული ან კომერციული ხასიათის.

ასევე თვითდასაქმებულებისა და დაქირავებულებისთვის გთავაზობთ თანაბარ დახმარებას: აბსოლუტურად გასაგებია, რომ მთავრობა ავტომატურად გადაუხდის კომპენსაციას დაქირავებული შრომით დაკავებულ პირებს (თვეში 200 ლარს), თუმცა გაუგებარია, რა ნიშნით ხდება თვითდასაქმებულების დისკრიმინაცია და მათთვის ერთჯერადად მხოლოდ 300 ლარის დარიცხვა. თვითდასაქმებულები ჩვენი ქვეყნის ყველაზე მოწყვლადი სოციალური ფენაა. ისინი ყველაზე ადრე დაზარალდნენ კორონავირუსისგან და ყველაზე რთული იქნება მათთვის, განსხვავებით დაქირავებული შრომით დასაქმებული პირებისგან, შემოსავლების წყაროს

განახლება. აქედან გამომდინარე, ვფიქრობთ, რომ მათზეც სრულად უნდა გავრცელდეს 200 x 6 სისტემა, რა თქმა უნდა, იმ პირობით, რომ ისინი დაასაბუთებენ თავიანთი შემოსავლის წყაროს. სამთავრობო გეგმაში აუცილებლად უნდა იყოს ასევე დათქმა, რომ თვითდასაქმებულებს, რომლებიც დაასაბუთებენ თავიანთ შემოსავალს, არ უნდა დაეკისროთ არანაირი სანქციები გადასახადების დამალვის ან გადასახადებისგან თავის არიდების გამო.

6. რა ღონისძიებებს მიმართავთ ქვეყანაში არსებული საზოგადოებრივი ჯანდაცვის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, მათ შორის საზოგადოებრივი თავშეყრის სივრცეებში?

პარტიის პოზიცია ამ საკითხზე უცნობია.

7. პანდემიამ განსაკუთრებული პრობლემები შექმნა განათლების ხელმისაწვდომობისა და ხარისხის მხრივ, განსაკუთრებით იქ, სადაც მასწავლებლებსა და მოსწავლეებს ხელი არ მიუწვდებათ უწყვეტ ინტერნეტსა და კომპიუტერულ ტექნიკაზე. როგორია თქვენი გეგმა ამ პრობლემების დასაძლევად, თუკი კვლავ საჭირო გახდება სასწავლო პროცესის დისტანციურ რეჟიმში გადატანა?

პარტიის პოზიცია ამ საკითხზე უცნობია.

8. მოკლედ აღწერეთ სხვა ზომები, რომელთა გატარებასაც გეგმავთ (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

პარტიის პოზიცია ამ საკითხზე უცნობია.

პოლიტიკა და ეკონომიკა

1. აპირებთ თუ არა რაიმე მნიშვნელოვანი ცვლილებ(ებ)ის ინიციირებას საქართველოს კონსტიტუციაში?

შევქმნით საკონსტიტუციო კომისიას, რომლის მუშაობაში მონაწილეობას მიიღებენ ქვეყნის წამყვანი პარტიები, აგრეთვე 1992 წლიდან დევნილი უზენაესი საბჭოს წარმომადგენლები, რათა პოლიტიკური შეთანხმების და არა ერთპარტიული დიქტატის საფუძველზე მიღებულ იქნეს საქართველოს კონსტიტუცია. ის საკითხები, რომლებზეც ვერ მიიღწევა პოლიტიკური შეთანხმება, გამოტანილი იქნება რეფერენდუმზე.

„თავისუფალი საქართველო“ ემხრობა კონსტიტუციის მიხედვით საქართველოს პრეზიდენტის პირდაპირი არჩევის წესის აღდგენას და შესაბამისად, მისი აღმასრულებელი უფლებამოსილებების გაფართოებას.

2. რა პოლიტიკას განახორციელებთ სასამართლოების დამოუკიდებლობის განსამტკიცებლად, სასამართლო სისტემის მიმართ ნდობის გასაძლიერებლად?

უფლებამოსილება შეუწყდება იუსტიციის უმაღლეს საბჭოს, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს, გენერალურ პროკურორს, აგრეთვე მოსამართლეთა და პროკურორთა იმ კატეგორიას, რომლებიც შევარდნაძის, სააკაშვილის და ივანიშვილის რეჟიმის პირობებში

მონაწილეობდნენ პოლიტიკური დევნის საქმეებში. იუსტიციის საბჭოსა და უზენაესი სასამართლოს ახალი შემადგენლობა ჩამოყალიბდება ხელისუფლებისა და ოპოზიციის თანხმობის საფუძველზე.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ შევქმნით დამოუკიდებელი პროკურორის ინსტიტუტს, რომელიც არ დაექვემდებარება გენერალურ პროკურორს. დამოუკიდებელი პროკურორები გამოიძებენ შევარდნაძის, სააკაშვილის და ივანიშვილის რეჟიმის დროს „თაროზე შემოდებულ“ საქმეებს.

3. რა პოლიტიკას მიმართავთ ადამიანის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების უზრუნველსაყოფად?

პარტიის პოზიცია ამ საკითხზე უცნობია.

4. როგორი საარჩევნო სისტემა უნდა არსებობდეს საქართველოში?

ჩვენი პარტია მომხრეა სრულად პროპორციული საარჩევნო სისტემის, რათა პარლამენტი იყოს მრავალპარტიული. უნდა მოიშალოს ერთპარტიული მმართველობა, რის მიღწევასაც ჩვენ ვცდილობდით ჯერ კიდევ ყოფილი ხელისუფლების მმართველობის პერიოდში.

5. რა გეგმები გაქვთ ზოგადად განათლების პოლიტიკის და კონკრეტულად დაწყებითი, საშუალო, პროფესიული და უმაღლესი განათლების ხარისხის გაუმჯობესებისთვის?

პარტიის პოზიცია ამ საკითხზე უცნობია.

6. გთხოვთ დაასახელოთ კონკრეტული ეკონომიკური პარამეტრები, რომელთა მიხედვითაც შეიძლება შეფასდეს თქვენი ფისკალურ-ეკონომიკური პოლიტიკის შედეგები 2024 წელს.

პარტიის პოზიცია ამ საკითხზე უცნობია.

7. დაასახელეთ სახელმწიფო ხარჯების თქვენთვის მისაღები პროპორცია მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებით, თუკი ამ საკითხზე უკვე გაქვთ მკაფიოდ ჩამოყალიბებული პოზიცია.

პარტიის პოზიცია ამ საკითხზე უცნობია.

8. როგორია თქვენი პოლიტიკა სახელმწიფო ვალისა და საბიუჯეტო დეფიციტის მიმართ?

პარტიის პოზიცია ამ საკითხზე უცნობია.

9. გაქვთ თუ არა საჯარო სამსახურის შემდგომი განვითარების/რეფორმის გეგმა? რა არის მისი პრიორიტეტები?

პარტიის პოზიცია ამ საკითხზე უცნობია.

საზოგადოებრივი და სოციალური საკითხები

1. რა პოლიტიკის და კონკრეტული ღონისძიებების განხორციელებას გეგმავთ ჯანდაცვის ხელმისაწვდომობისა და მისი ხარისხის ასამაღლებლად?

პარტიის პოზიცია ამ საკითხზე უცნობია.

2. რა ინიციატივებს (თუკი ასეთი გაქვთ) სთავაზობთ მოსახლეობას სოციალური უსაფრთხოების გაუმჯობესების მიზნით?

პარტიის პოზიცია ამ საკითხზე უცნობია.

3. რა პოლიტიკას გაატარებთ იძულებით გადაადგილებულ პირთა საცხოვრებელი და სამუშაო სივრცის უკეთ ორგანიზებისთვის?

პარტიის პოზიცია ამ საკითხზე უცნობია.

4. რა წინადადებებს (თუკი ასეთი გაქვთ) გვთავაზობთ უმცირესობათა (რელიგიური, ეროვნული, სექსუალური და სხვ.) უფლებების ეფექტური დაცვისა და ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში მათი მეტად ინტეგრირებისთვის?

პარტიის პოზიცია ამ საკითხზე უცნობია.

5. პარლამენტთაშორისი კავშირის (IPU) მონაცემებით, საქართველო 191 ქვეყანას შორის 144-ე ადგილს იკავებს საკანონმდებლო ორგანოში ქალი დეპუტატების რაოდენობის მხრივ. გთხოვთ, აღწეროთ თქვენი ინიციატივები (თუკი ასეთი გაქვთ), რომლებიც პოლიტიკაში ქალთა თანამონაწილეობის გაზრდა-გაფართოებას ეხება.

„თავისუფალი საქართველოს“ ურყევი პოზიციაა, სახელმწიფომ უზრუნველყოს თანაბარი სასტარტო პირობების შექმნა მიუხედავად სქესისა, ხოლო ამის შემდგომ სახელმწიფო არ უნდა ერეოდეს აღნიშნული გამოწვევის დარეგულირების პროცესში - კონკურენციამ უნდა გამოარჩიოს პროფესიონალი კადრები და არა სქესმა.

6. რა პრობლემებს ხედავს თქვენი პარტია ბავშვთა უფლებების დაცვის მხრივ და რას აპირებთ ამ მდგომარეობის გამოსასწორებლად?

პარტიის პოზიცია ამ საკითხზე უცნობია.

7. როგორია თქვენი თვალსაზრისი ქვეყნის კულტურის პოლიტიკის შესახებ?

პარტიის პოზიცია ამ საკითხზე უცნობია.

8. გთხოვთ დაგვისახელოთ თქვენი წინადადებები (თუკი ასეთი გაქვთ), რომლებიც ხელს შეუწყობს ეკოლოგიურად უფრო ჯანსაღი და უსაფრთხო საცხოვრებელი გარემოს შექმნას.

პარტიის პოზიცია ამ საკითხზე უცნობია.

9. აპირებთ თუ არა სპეციალური პოლიტიკის გატარებას, რის შედეგადაც ქვეყანაში საგზაო მოძრაობის უსაფრთხოება გაუმჯობესდება?

პარტიის პოზიცია ამ საკითხზე უცნობია.

10. შემუშავებული გაქვთ თუ არა პოლიტიკური პოზიცია, რათა ხელი შეუწყოთ სამოქალაქო სექტორის/არასამთავრობო ორგანიზაციების გაძლიერებას?

პარტიის პოზიცია ამ საკითხზე უცნობია.

საგარეო პოლიტიკა და საერთაშორისო ურთიერთობები

1. გთხოვთ განიხილოთ საგარეო პოლიტიკის ძირითადი პრიორიტეტები. როგორ აპირებთ მათ რეალიზაციას?

ქვეყნის განვითარების კურსი უნდა ეფუძნებოდეს დასავლურ პოლიტიკურ, სამართლებრივ და ეკონომიკურ ღირებულებებს. იმავდროულად, ქვეყანამ შეძლებისდაგვარად ნორმალური ურთიერთობები უნდა დაამყაროს დანარჩენ მეზობლებთანაც. ქვეყნის საგარეო პოლიტიკის მთავარი ამოცანა უნდა გახდეს ოკუპირებული ტერიტორიების რეინტეგრაცია, რაც, სამწუხაროდ, წინა ხელისუფლების პირობებში მხოლოდ პროპაგანდას წარმოადგენდა, ხოლო დღევანდელი ხელისუფლების პირობებში საერთოდ დავიწყებულია.

საქართველო გააქტიურებს პოლიტიკურ დიალოგს ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ რუსეთის მონაწილეობით. ამგვარი დიალოგის პრიორიტეტი უნდა იყოს როგორც დეოკუპაცია, ისე ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრებ პირთა უფლებების დაცვა და ესკალაციის თავიდან აცილება.

2. რომელ ქვეყნებთან/ქვეყნების გაერთიანებებთან/ალიანსებთან იზრუნებთ სტრატეგიული, მათ შორის სამხედრო-სტრატეგიული პარტნიორობისა თუ თანამშრომლობის დამყარებისა და განმტკიცებისთვის? რა ნაბიჯებს გადადგამთ ამ მხრივ? რომელი ქვეყანა/გაერთიანება/ალიანსი წარმოგიდგენიათ საქართველოს მთავარ სტრატეგიულ პარტნიორად?

საქართველომ აქტიური თანამშრომლობა უნდა გააგრძელოს დასავლელ პარტნიორებთან და მათთან თანამშრომლობის მთავარი პრიორიტეტი უნდა გახდეს პირდაპირი და ორმხრივი დახმარება. საქართველო შეიძლება კიდევ დიდი ხნის განმავლობაში ვერ გახდეს NATO-ს წევრი, მაგრამ ეს ხელს არ უშლის აშშ-ს და NATO-ს წევრ სხვა მოკავშირეებს, საქართველოს პირდაპირი პრაქტიკული დახმარება გაუწიონ შეიარაღებული ძალების მოდერნიზაციის მიზნით. მაგალითად ისე, როგორც უკრაინის, ისრაელის და პაკისტანის შემთხვევაში.

3. რა საკითხებს ანიჭებთ განსაკუთრებულ პრიორიტეტს ევროკავშირთან ასოცირების და ღრმა და ყოვლისმომცველი ხელშეკრულებების რეალიზაციის პროცესში?

პარტიის პოზიცია ამ საკითხზე უცნობია.

4. რა საგარეო პოლიტიკის გატარებას აპირებთ სამხრეთ კავკასიასა და შავი ზღვის აუზში?

პარტიის პოზიცია ამ საკითხზე უცნობია.

ეროვნული უსაფრთხოება და ტერიტორიული მთლიანობა

1. თქვენი თვალთახედვით, როგორი უნდა იყოს საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების ძირითადი არქიტექტურა/პრინციპები?

პარტიის პოზიცია ამ საკითხზე უცნობია.

2. როგორ წარმოგიდგენიათ ქვეყნის თავდაცვის ორგანიზაცია?

პარტიის პოზიცია ამ საკითხზე უცნობია.

3. რა პოლიტიკას გაატარებთ ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად?

პარტიის პოზიცია ამ საკითხზე უცნობია.

4. რა ნაბიჯებს გადადგამთ იმისთვის, რომ უკეთ დაიცვათ ქვეყანა „მცოცავი ოკუპაციისგან“?

პარტიის პოზიცია ამ საკითხზე უცნობია.